723

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 010101/10/356-1

ქ. თბილისი 3 ნოემბერი, 2011 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის ლ. კოზმავას სახით და მეორეს მხრივ შპს „უნიგრუპი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის გ. პირველის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციისათვის, საავტომობილო საწვავის (დიზელი) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად (2011 წლის 3 ნოემბრის №10-6/9281 წერილი).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: 5000 ლიტრი ევროდიზელი 10 PPM.

1.3 კლასიფიკატორის კოდი: 09134200

2. ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 1 ლიტრის ღირებულებაა 2.25 ლარი.

2.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 11250 (თერთმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის №238 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ტალონური სისტემით, ერთჯერადად, შემსყიდველის წინასწარი შეკვეთის შესაბამისად, არაუგვიანეს 2011 წლის 15 ნოემბრამდე.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დავალების გაცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შემსყიდველისათვის დიზელის საწვავის მოთხოვნილი მთლიანი რაოდენობის შესაბამისი ტალონების მიწოდება. ტალონების მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.3 ტალონების მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ოფისი მდებარე - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდ. ტერიტორია.

4.4 საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს "LUKOIL"-ის სავაჭრო ნიშნით მოქმედი ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

4.6 საქონლის ფასი შეიცავს ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია მის მიწოდებასთან, მათ შორის დიზელის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

995
11 11 11

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2 ტალონების (10 ან 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალები) გადაცემის მომენტიდან შესაბამისი რაოდენობის დიზელის საწვავი წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის საკუთრებას. მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ უზრუნველყოს ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული საწვავის შენახვა და გაცემა მოთხოვნისთანავე.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

5.4 ტალონის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე ასევე აღნიშნული უნდა იყოს:

მიმწოდებლის დასახელება;
ტალონის ნომერი;
საქონლის სახეობა;
საქონლის რაოდენობა.

5.5 დიზელის საწვავის გაცემა ხდება სათანადო წესით დამოწმებული ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

5.6 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

5.7 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული ხარისხისა და რაოდენობის საქონლით.

5.8 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით, არაუმეტეს 3 საათისა, შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს, პერსონალისა და მომხმარებლის უსაფრთხოებისა და საწვავის სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

5.9 ტალონების მიღება ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსი ვ. დადიანიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება დიზელის საწვავის ტალონების გადაცემისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მიმწოდებლის ნებართვის გარეშე გადასცეს მესამე პირებს მიმწოდებლისაგან მიღებული ტალონები;
- მოითხოვოს იმ რაოდენობისა და ხარისხის საწვავი, რომელიც მიმწოდებლის მიერ გაცემულ ტალონში არის მითითებული.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული ხარისხისა და რაოდენობის საქონლით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ა/წ 15 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 საწვავის ფასების ცვლილება მოხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

10.1.1 C=Rx(P+Z)x(100% + 18%)xD/1000, სადაც:

ა) C =ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში);

ბ) R=წინადადების წარმოდგენის, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);

გ) P = წინადადების წარმოდგენის, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის

დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი მონაცემის საშუალო ფასი (ცვლადი კომპონენტი);

დ) Z=ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;

ე) 18%=დღგ;

ვ) D=წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.

10.1.2 "C"–ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ "R"–ის ან/და „P"–ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს "C"-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებულ) ფასთან მიმართებაში. ამასთან, „C" უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს შესაბამისი მიმწოდებლის ქსელში იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03 ლარით) ნაკლები.

10.1.3 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან საწვავის ყოველი პარტიის მიწოდების თაობაზე მოთხოვნის მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღისთვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების დაანგარიშება ამ მუხლით განსაზღვრული წესით და შემდგომში წერილობითი შეთანხმებით გააფორმონ ახალი ფასები. ფასები ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. თუკი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება მიმწოდებელს წარუდგინოს საწვავის მოთხოვნის შესახებ ახალი განაცხადი.

10.1.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და არ გამოიწვევს მხარეების მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენებას.

10.1.6 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილი იქნება ისეთი ცვლილება, რომლითაც შეიცვლება 10.1.1 ქვეპუქტით განსაზღვრული ფასის გაანგარიშების ფორმულა, ამ შემთხვევაში მხარეები აფორმებენ წერილობით შეთანხმებას 10.1.1 ქვეპუნქტის ცვლილების თაობაზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების

შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.9 პუნქტში აღნიშნული პირი.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის მერია	შ.პ.ს. „უნიგრუპი“
მის: ქ. თბილისი,	მის: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
ჟ. შარტავას ქ. №7	სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდ. ტერიტორია
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: LBRTGE22	კოდი: BAGAGE22
ა/ა№ GE95LB0125152101627000	ა/ა № №GE65BG0000000883370201
ს/კოდი: 204521794	ს/კოდი: 205054894
ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი	შ.პ.ს. „უნიგრუპის“ დირექტორი
ლ. კოსმავა	გ. პირველი

შეთანხმებულია:

ა. თაბუაშვილთან

ვ. გვათუასთან

ვ. დადიანიძესთან

723

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 3 ნოემბერი, 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ საავტომობილო საწვავის (დიზელი) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ლუბა კოხმავა -

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი

ალექსი თაბუაშვილი -

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ვალერიან გვათუა -

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსი

ვალერი დადიანიძე -